ეროვნული ბიბლიოთეკა




შაბათი, 28 გიორგობისთვე № 48 — 1915

ფასი 10 კ.

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ.—ხელის-მოწერა მიიღება „სორაპან"-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. Театри да Цховреба" І. Имедашвили.



**გენ. გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი**

ქ. შ. წ. კ. საზ-ის თავმჯდომარე

## 28 გიორგობისთვე

**ჩვენი აღორძინების წყარო**

ქართველი ერის წინმსვლელობის პირმშო შვილმა — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ — თვისი ოცდა ხუთმეტი წლის არსებობის მცირე დღესასწაული წელს გასულ კვირას გადიხადა *) და დიდებული გარდაწყვეტილებითაც დააგვირგვინა: საწევრო გადასახადი ერთ მანათამდე დასწია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება გაიზარდა, ერის შიგნიშიგან შეიწია...

ჩვენი ერის სწავლა-აღზრდის საქმე დღემ-

*) ქ. შ. წ. კ. არსებობის 35 წ. თავი შარშან შესრულდა, თავის დროზე ჩვენ წერილი უძღვენით და დამფუძნებელთა სურათებიც დავბეჭდეთ (იხ. „თ. და ც." 1914 წ. № 5). რასა თქმა უნდა, ჩვენი აღმზრდელი დაწესებულების დღესასწაული დიდის ზეიმით უნდა გადაგვეხადნა, მაგრამ დღევანდელ პირობებში ეს ვერ მოხერხდა.

დე თუ მხოლოდ საზოგადოების ზემო საფეხურზე მდგომთა საზრუნავი იყო, დღეიდან თვით ერს—ფართე საზოგადოებას ევალება თვის აღორძინებაზე თითონვე იზრუნოს...

მაგრამ მარტო კეთილი სურვილები არა კმარა,—საჭიროა სურვილის საქმედ ქცევა... ეს კი პირდაპირი მოვალეობაა საზოგადოების სათავეში მდგომთა და ხალხიდან გამოსულ მუშაკთა... დღემდე თუ საწევრო გადასახადის სიდიდე აძნელებდა საზოგადოებაში თვით ხალხის შესვლას და მთელი საქართველო მოფენილი არ იყო წ. კ. ს. განყოფილებებით, თუ ზოგიერთ ადგილას მხოლოდ რამდენიმე რჩეულთა სახელით არსებობდა „საზოგადოება", დღეიდან მაინც „საზოგადოების" განყოფილებანი ყველგან უნდა დაარსდეს, არსებული განყოფილებანი წევრებით გამდიდრდეს, მთელი ჩვენი ერი ჩაებას საქმიანობაში. ეს ერთი.

მეორე მხრით, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ ის სამწუხარო გარემოება (რომელზედაც ჩვენს პრესასა და თვით საზოგადოების კრებებზედაც არა ერთ გზის აღძრული ლაპარაკი), რომ ჩვენის ერის უდიდეს ნაწილში ჯერ კიდევ არ შესულა სწავლა-განათლების სხივი, ჩვენს სოფლებში ბნელა, „წიგნის მცოდნეა სანთლით საძებარია, ნამდვილი მასწავლებელი—იშვიათი და თუ სადმე უცხო სკოლები მოიპოვება, უმეტესად გადამგვარებელი, ან გამაჩერჩეტებელი.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებამ თვისი განყოფილებებით სწორედ ამ მხრივ უნდა გამოიჩინოს უნარი: უპირველესი ყურადღება მიაქციოს, როგორც არა ერთ გზის აღინიშნა, მხოლოდ და მხოლოდ ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელებას: სკოლების გახსნას, შესაფერ მასწავლებელთა შექმნა-მომზადებას და წიგნთ-საცავ-სამკითხველოების დაფუძნებას (არა მხოლოდ [illegible], არამედ საკითხავ წიგნებ ს მიწოდებითაც). დიდტანიან წიგნების გამოცემა, მუზეუმი თუ სხვა, ჯერჯერობით მაინც, მთავარი მიზნის შემფერხებელია: როდესაც ჩვენი ხალხი—გლეხობა—წერა-კითხვის შეასწავლის და მშობლიურ ნიადაგზე განვითარდება, მაშინ საკითხავ წიგნს თითონვე მოსძებნის და წარსულის საგანძურის დაფასებასაც შეიძლებს...

დასკვნა: ხალხის შეგნებულმა შვილებმა ჩვენი სამშობლო უნდა მოჰფინონ წ. კ. ს. განყოფილებებით, ხელი შეუწყონ საზოგადოებაში მრავალი წევრის ჩაწერვისა და საყოველთაო სავალდებულო სწავლა-განათლების შემოღებას სამშობლო ენაზე...

და როდესაც თითოეული ქართველი თავის გულის ძღვენით ქ. შ. წ. კ. საზ-ს გადაექსოვება, სიტყვიერი და ნივთიერი დახმარებით ასაზრდოებს, მაშინ ჩვენი აღორძინების წყაროც უხვად გადმოსჩქეფს და უკვდავებად გვესალბუნება...

# ჩემს სამშობლოში

ჩემი სამშობლო კოლხეთს აღარ ჰგავს. იქ ყოველივეს უცვლია ფერი, იქ ვეღარ ნახავ ცელქ, მალხაზ ბავშვებს, ყველას თვალთაგან ჩამოსცვივს ცრემლი და რომ ჰკითხო:

— რა მიზეზია, რისთვის ხარ, ბავშვო, შენ დაღვრემილი?

პასუხად მოგცემს:

— უცხო ენაზე მწრთვნიან აღმზრდელნი, არ მასწავლიან სამშობლო ენას, მაწყევლინებენ მით ბედის წერას.

ჩემს სამშობლოში ასულს ბევრს ნახავთ უცხო ჰანგებით ნაზად მომღერალს, მაგრამ მათ შორის ვერვინ ახერხებს მშობლიურ ენით ტკბილად საუბარს.

ტურფა კოლხეთში მგოსანს ბევრს ნახავთ, კოცნა-ალერსზე მუდამ მღეროდეს, მაგრამ ვინ არის რომ თვის ლექსებით ხალხს საბრძოლველად მოუწოდებდეს?

მტირალს ბევრს ნახავთ ამ ჩვენს მხარეში, ყველგან გაისმის გლოვა საზარი, მაგრამ რომ ვინმემ წამოიძახოს: აწ განახლების ჩამოვკრათ ზარი!—ამისი მთქმელი არავინ არი...

სწავლულს ბევრს ნახავთ, იციან მრავალ ერთა აწმყო-წარსული, მაგრამ თუ მათი სამშობლოც სუფევს, ამისი მცოდნე აბა ვინ არი?

გმირებიც გვყავანან, მეკობარს ძილში დასცემენ მახვილს.

მონაც ბევრია, მტერს ერთგულად უწე-

ვენ ყმობას, თვის სამშობლოს კი არ აკლებენ კიცხვას და გმობას..

რას გევხარ, ჩემო სამშობლო მხარე?

თუ მტერმა ბრძოლა გამოგიცხადა, მონურად ქედი რად მოიხარე?

ასულნი შენნი თუ შეურაცხყვეს, ვაჟკაცნი მაინც ვერ დაიფარე?

ალსდექი ისევ და დამანახე შენი ფარული ძლევა-დიდება, თორემ ურწმუნოთ აღარა სჯერათ მთვლემარე ტოლის კვლავ აზვირთება."

ხალხი კვნესს და სწუხს, ხალხი ვალალებს, შრომის შვილს შრომას არვინ უფასებს...

მალე ჩამოჰკარ განახლების ზარს, ბრძოლით იპოვე თავისუფალ გზას!

მიხ. [illegible]

# მადლიანი მუშაკნი

I



**დავით იაკობის ძე თედეშვილი.**

ყველა ბუზი ბზუისო, —
ფუტკართან ყველა ტყუისო.
ხალხური

საფრანგეთის მთავარი ლუი მე-XIV თურმე იტყოდა: „საფრანგეთი მე ვარო"... რამდენი, სხვისი შრომით გასიებული, ყელში ქონ-მორეული თავხედურის მედიდურობით იტყვის ხოლმე: „ქვეყნის სიმდიდრეს მე ვქმნიო; „ან რომელიმე, გვერდზე წამოწოლილი, მსხვილი მესაკუთრე გაიძახის: „მთელი სოფლის გლეხობას მე ვკვებავო.— დიახ, სწორედ იმ გლეხს და მუშას, რომელთა მადლიან შრომა-გამრჯელობითა და ძარღვიან მკლავებით აშენებულია მთელი ქვეყნის კეთილდღეობა...

რამდენიმედ ესევე ითქმის საზოგადო ასპარეზზე მომქმედ ბევრ პირზედაც, ეგრედ წოდებულ საზოგადო მოღვაწეებზე: ზოგს იმათგანს რომ ჰკითხოთ,—ამა თუ იმ საზოგადო საქმის კეთილდღეობა მთლად ჩემზეა დამოკიდებული და მე რომ არ ვიყო,—არაფერი გაკეთდებოდაო.

რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბევრს ნიშნავს ამა თუ იმ კერძო პირის გონება-გამჭრიახობა, საქმიანობის უნარი, ინიციატივა, მაგრამ ყველა ამ ღირსებითი მხარეებს მხოლოდ მაშინ ჰმოსავს მადლი და ემატება მნიშვნელობა, როცა ყოველივე კეთდება თვით საქმისავე სიყვარულით და არა სხვის დასანახავად, სახელის მოსახვეჭად...

ეს, ცოტა არ იყოს, გძელი წინასიტყვაობა გვათქმევინა, როცა შეუდექით, ორიოდე სიტყვით, დაგვეხასიათებინა, თითქოს უჩინარი, მაგრამ დიდ-ნაყოფიანი საქმიანობა დავით იაკობის ძის თედეშვილისა ბაქოს ქართველ საზოგადოების ცხოვრებაში. ვიცით რა ბ. თედეშვილის მოკრძალებული ხასიათი, უპირველესად წინადვე ბოდიშს ვიხდით, რომ შეიძლება ცოტა ნაადრევად და საჯაროთ ვიხსენიებთ იმის საქმიანობას.

მოგეხსენებათ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრების ასაღორძინებლად არა კმარა მხოლოდ ერთი რომელიმე ცენტრის მუშაობა,—საჭიროა ცენტრს გამოეხმაუროს პროვინციაც, რომ საქმიანობამ ფართო ხასიათი მიიღოს და უმთავრეს ძალამდე, კულტურულად ჩამორჩენილ ხალხის მასამდე, მიაღწიოს. ჩვენდა სასიამოვნოდ, ამ ბოლო დროს, გვარიანი გამოცოცხლება დაეტყო ჩვენს პროვინციას, ამ მხრივ საპატიო ადგილი უჭირავს ბაქოს ქართველ კოლონიის საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ბაქოელებმა უკვე მოახერხეს ქართულ სკოლისათვის საუკეთესო ადგილზე დიდი შენობის აგება, სადაც ასზე მეტი ხელმოკლე ქართველთა ქალ-ვაჟნი მშობლიურ ნიადაგზე

იწვრთნებით; კარგა ხანია საქველმოქმედო და დრამატიული საზოგადოებანი არსებობენ; მოქმედობს ქართველ ქალთა წრე, ბიბლიოთეკა-სამკითხველო; ყოველ წლიურად და სისტემიურად იმართება ქართული წარმოდგენები, სეზონის განმავლობაში, ქართული საღამოები, რომლებიც წლიურად 5—8 ათას მან. იძლევა და სხ. ამითვე აიხსნება, რომ ყოველთვე ჩვენი საზოგადოებრივი ავი თუ კარგი მოვლენა იწვევს ხოლმე ჯეროვან გამოხმაურებას ბაქოს ქართველებისგან. მართალია ამ 15—10 წლის წინეთაც იმართებოდა ხოლმე ბაქოში ქართული საღამოები და, ხანდისხან, წარმოდგენებიც, მაგრამ მაშინ უფრო შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და ამით უფრო ინტელიგენცია ერთობოდა.

ამ კულტურულმა მუშაობამ სისტემატიური ხასიათი მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, როცა, ამ ხუთმეტი წლის წინედ, ბაქოში გადმოსახლდა მ. თუდეშვილი. ჩვენ ღირსნი ვიყავით თვალით მოწმენი დ. თუდეშვილის საქმიანობისა და მოუცრთომელის გულწრფელობით და თამამად ვაღიარებთ, რომ იმის უზადო, თავდავიწყებამდის, საზოგადო საქმით გატაცება პირდაპირ გასაოცარი იყო და ეხლაც არის. ის იმდენად იყო ამ კულტურულ მუშაობით გატაცებული, რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამისათვის იმას აქებდნენ, თუ აძაგებდნენ, ოღონდ კი თვით საქმე მოგვარებულიყო და რაც მძიმე და შავი, სხვისგან არ დასახები, სამუშაო იყო, თვით კისრულობდა. დილის 6—7 საათიდან პირუზმო 11—12 საათამდე, თავის კერძო სამსახურს უნდებოდა და იქიდან დაბრუნებისას, იმას ვერც კი შეაყენებდა მოხუცი დედის მუდარა, რომ ერთი ლუკმა პურით მაინც დანაყრებულიყო,—დაჰქროდა ქუჩას და ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში დარბოდა, რომ დეეთანხმებინა და თავი მოეყარა, ხშირად ჟინიან, თანამშრომელთათვის.

ძალიან ხშირად, პირად დამცირება-შეურაცხყოფას უსიტყვოდ იტანდა და მხოლოდ თავისი გაუტეხელის ღონისძიებით, მოთმინებით და თვით საქმის სიარაკო სიყვარულით უყრიდა თავს და ამოძრავებდა იმ ძალებს, რომლებიც საჭირო იყვნენ საქმის მოსაგვარებლად.

წარმოდგენის გამართვა იყო საჭირო, საღამოსი, ან თუ რამ სხვა საქმის მოგვარება,—ის იყო, ხშირად ძალითაც, მონაწილეთა შემკრებიც, ნებართვის ამღებიც, როლების გადამწერ-გამნაწილებელიც, რეჟისორიც, სცენარიუსიც და უბრალო მუშაც,—აი ის ერთი უმთავრეს ღერძთაგანი, რამაც თვალსაჩინოდ აამოძრავა ბაქოს ქართველობის შეგნებული ცხოვრება.

ჩვენ კიდევ ბევრი რამ შეგვეძლო გაგვეხსენებინა დ. თუდეშვილის საქმიანობის სრულ-საყოფელად, მაგრამ, ვიმეორებთ, ვეკრძალვით რომ არ დავიმსახუროთ წყრომა ამ მორიდებულად პატიოსან მუშაკისაგან; ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ დუხჭირ დროში, მხოლოდ თუდეშვილისთანა მადლიანი, ფუტკრისებური მუშაობა აშენიანებს და ხალისის მომგვრელად ალამაზებს საზოგადოებრივ ცხოვრების სახეს. ამიტომაც ვუსურვოთ დ. თუდეშვილს დღეგრძელობა თვის მადლიან და მისაბაძავ კვალის გასაგრძელებლად.

**გ. ახალციხელი**

# განცდა...

ჩვეულებრივი ღამეა...

ზეცას მთვარის შუქი მოჰფენია... ჰაერი, ვით გაყინული მდინარე, შეხუთულია...

მთვარე ზანტად მისცურავს, ხანდისხან ღრუბელთ ეფარება, რის გამოც მიწას ალაგალაგ ჩრდილი ეფინება.

უცებ კარგა მოზრდილი ღრუბლის ჩრდილი დაეფინა ჩვეულებრივ სოფლის დარბაზის სანათურს და მუნ მცხოვრებთ სიბნელე მოჰფინა.

— ჰა... ვაიჰ!...

მოისმა ჩაბნელებული დარბაზიდან მოხუცის ხმა.

— რა იყო, გენაცვა, შვილო! გველი ხომ...

— არა, არაფერი! მიუგო ქალმა.—აი, მთვარეს შევცქეროდი...

— და ღრუბლები გადაეფარა?! შეშურდა მისი სინათლეც. ეგ, შვილო, ჩვეულებრივი მოვლენაა: მალე გადიყრება, მალე...

— ღიაბ, ღიაბ, მალე...

განიმეორა გულში ჩაკვლით და ისევ მიაშტერა თვალები სანათურს, რომლიდანაც მთვარის შუქი აღარ ჩამოდიოდა; ბნელოდა, ხოლო წარსულს კი ნათლად ხედავდა.

განცდილს განიცდიდა...

1

კარგა ხანია მას შემდეგ...

აგერ, — გაახსენდა შუშანას, — სოფლის გზის პირას, ორ-ლულიან წყაროსთან, მამის დუქანი; მის უკან მათი სადგომი: ორი ოთახი, ეზოში პატარა ბაღჩა.

ყოველ კვირა-უქმეს ამ დუქნის წინ იკრიბებოდა მთელი სოფელი; აქ სჯა-ბაასობდნენ გლეხნი თავიანთ ჭირვარამზე და, ბოლოს, აქვე, ამავე დუქნის კედლებ შორის იწურებოდა მათი შრომის ოფლი.

— „სწორედ დასაწვავია ეს დუქანი“. — გაახსენდა შუშანას ილოს სიტყვები. — „დუქანი საჭიროა, არა სასმლისა, არამედ სხვა სავაჭრო საგნებისა, რომელიც საჭიროა სოფელსა, რაც უნდა იყოს სასოფლო, ხალხნო, სასოფლოო“...

— სწორედ, აი, ამისთვის სძულდა მამაჩემს ილო... წაიჩურჩულა თავისთვის შუშანამ და გაეხვია მოგონების სურათში.

2

პირველად არჩოს იყო, რომ ილოს სიყვარული ჩაუვარდა ჯერედ გამოუცდელ გულში. აგერ, ტრიალი მინდორი, სადაც რამდენიმე ქვითკირისა და ალიზის სახლს შორის მშვენიერი, მაღალი, აგურით აგებული წმ. გიორგის ეკლესიაა. ამ ეკლესიასთან აურებელი დახარდახებული და შევებული ურმებია; ერთ მხარეს ათასგვარი სავაჭრო დროებით გამართულ ფარდულებში; მეორე მხარეს კი სალხინო მოედანი, რომლის ნიადაგი კოლოსავით დატკეპნილია.

აი, წირვა გამოვიდა, შუშანა მოედნისაკენ გაეშურა; აქ ყმაწვილ-ბიჭობას წრე შემოევლო, ზურნა უკრავდა.

აგერ, ყმაწვილებში ილო: მხარ-ბეჭიანი, სხარტი; ყარყარა ყელზე მორგვალო თავი, ლამაზი ნიკაპი, მარწყვივით აყვავებული ტუჩები, ზე წამოფარებულ წაბლა გრეხილა ულვაშებითა; მოყალიბებული ცხვირი, ფართე შუბლი ზედ კოჩორით, ამშვენებს სახეს; ხოლო წყნარი თვალების და მოღიმარი სახის გამომეტყველება მოგაგონებთ კეთილ და მშვიდ ლომსა. აი, ეს არის ილო, რომელიც შუშანას გულს უტოკებს და რომელსაც იგი, მთელ იქ ყმაწვილ ბიჭთა შორის, გულის ტოკვით შეჰხარის...

ილო გამოვიდა თამამად, შეიჭრა წრეში, დასწვდა მიწას, ხელები დაიფშვნიტა და ღიმილით გაუწოდა ძარღვიანი ხელი მოპირდაპირეს.

მეორე მოჭიდავე არტემა, დაბალი და ჯმუხი; მის დაბალ სქელ კისერზე მოზრდილი თავია: სქელის ტუჩებით, ფართე ულვაშებით, ფართე ნესტოებიან ცხვირით, შავის თვალ-წარბით და დაბალის შუბლით, ყოველთვის გაუცინარი, რომელმაც უხალისოდ ჩამოართო ხელი.

შეეჭიდნენ ერთმანეთსა.

არტემა ხომ შუშანას მამის დახლიდარია; თითქო უფრო ახლობელიც; მაგრამ შუშანას მაინც ილოს გამარჯვება უნდა.

— „მერე და არტემამ რომ წააქციოს?..“ — გაუელვა შუშანასა. — „არა, არა! უწინამც დღე დამელიოს“... — მისთვის ეს აუტანელი იქნებოდა. მას სურდა ილოს გამარჯვება.

არტემამ სალმა გამოზიდო, ილო წაბორძიკა; მაგრამ შემაგრდა.

აი, ილომ თვისი ძარღვიან მკლავებით არტემა მიიზიდა, შემოატრიალა პატარა წრე, ჰკრა მოგვერდი და ძირს კუნძივით დასცა...

— იმ, შენ კი გენაცვალო... — ამოსკდა შუშანას გულიდგან ილოსადმი; დედასკენ კი მიიხედა, ხომ არ გამიგოო, და შემდეგ, თავის შავის თვალებით, ისევ ილოს მიაჩერდა...

ღმერთო! მას შემდეგ რამდენი წვა-დაგვა არ გამოუვლია: რამდენჯერ ეჭვი არ შეჰპარვია ზოგიერთ ლამაზ გოგოზე, რომელიც ეშმაკურად შესცინებდა ხოლმე ილოსა, რის გამოც ღამეები მოუსვენრად გაუთევნია.

და, აი, ძლივს დადგა წუთი, როდესაც შუშანას შემთხვევა მიეცა თავის გულის ნადები გაეზიარებინა.

ხ. გლახაშვილი

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბედი ქართლისა

**ისტორიული ქრონიკა 4 სურათად**

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 47)

## VI

**იგივენი და ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანი**

(**ჯერ გამოდიან მეომარნი და ქეშიკნი, ამალა, სულ ოცი კაცი და მწკრივად დადგებიან. მერე გამოვა ჭაჭა თავისის ოთხი კაცით. ერთს მოაქვს ოქროს ხონჩაზე შაჰის ფირმანი და მეორეს შაჰის ბარათი. ამათ მოჰყვება თათარი. მეფის ორს მსახურს, ქეშიკთავანს, შემოაქვს ოქროს ხონჩით სხვა და სხვა სანოვაგე ჭაჭისათვის, სხვა და სხვა ნაირ-ნაირი ტკბილეული, ხილი, ყინვარი შაქარი და შარბათი და დასდგმენ ჭაჭის წინ მაგიდაზედ ანუ ტაბლაზე, მაშინ როცა ჭაჭა ჩამოჯდება**)

**ჰაჯი-იბრაჰიმ** (მეტის-მეტი თამამად მოდის, ამაყად უცქერის ყველას. გიორგის ძალიან დაბლა დახრის თავს, ხელებს გულზე გადიხვევს და მივა სავარძელთან, რომელსაც თათარი უჩვენებს, ტახტის პირდაპირ და ჩამოჯდება. იმისი ამალა აგრეთვე სალამს მისცემს გიორგის და ჭაჭის უკან დადგებიან მწკრივად) სალამს გიძღვნი, მეფევ, ჩემს დიდსა სალამსა! გულსა ჩემს უხარის, რომ გიჰვრეტ შენ მაგრე ჯანმრთელს და მაგრე ბედნიერს!.. ორი თვე მოულოდნელად ვესწრაფვოდი ამ ჩემთვის ბედნიერსა წუთს, რომ მეღირსა ხილვა შენი კეთილშობილისა სახისა და აჰა, მაღალმა ალლაჰმა მეღირსა ეს ბედნიერება. გაკურთხოს მაღალმა ალლაჰმა მრავალი ჟამიერ! როგორი ბრძანდები ახლა მეფევ, ავად იყავი, ახლა როგორა ხარ?

**გიორგი**. გმადლობ სალამისათვის! ცუდათა ვარ, ცუდათ! ვგრძნობ, რომ დიდს ხანს ვერ გავსტან.

**ჰაჯი**. ოჰ, ოჰ, ეგ რა ესმა ყურთა ჩემთა?! ლაე, გამიქრეს ყურთა-სმენა საუკუნოდ, რომ ისმინეს ეგ შენი სიტყვა!.. ოჰ, მეფევ, მაგას რასა ბრძანებ! იცოცხლე, იცოცხლე დიდ ხანს სასიკეთოდ უდიდესს ბაბა-ხანის ერთობისთვის და შენი პატარა სამეფოს სიყვარულისათვის.

**გიორგი** (შეიჭმუხვნება) გმადლობ ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანო, გმადლობ მაგ სურვილისათვის! როგორ ატარებ დროს ჩვენსა, კმაყოფილი ხარ აქ ყოფნით თუ არა?

**ჰაჯი**. ოჰ, ოჰ! რას მიბრძანებ! შენსა ზრუნვას ჩემზედ არა აქვს საზღვარი, რომლითაც შენ მე, შენი მოყვასი ასე უხვად დამაჯილდოვე, თუმცა მაცდევინე კი თითქმის ორი თვე, რომ ვღირსებოდი შენს ვარსკვლავისებურ თვალთა ხილვასა და შემიწყალა უზენაესმა ალლაჰმა და მეღირსა მე, უღირსს ხილვას შენთა ბედნიერთა თვალთა გუგათა. მადლობელი ვარ, დიდად მადლობელი მასპინძლობისათვის, მე კმაყოფილი ვარ და როდისაც ამაზე ყოველსა მოვახსენებ ჩემსა მაღალსა ყოვლად უდიდესსა მბრძანებელსა ირანისათა, ბაბა-ხანსა, —ისიც კმაყოფილი იქნება შენი.

**გიორგი**. გმადლობ, ჰაჯი, გმადლობ.

**ჰაჯი**. (სანოვაგეს შეექცევა ხანდახან) ნება მიბოძე ვიკითხო, ყოვლად წმინდამ და ყოვლად ძლიერმა მაღალმა ჩემმა ალლაჰმან როგორ მოჰხედა ძესა შენსა, დავითს, ხომ კარგად იმყოფება, მხიარულად არის?

**გიორგი**. ჰო!.. არის... კარგად... მადლობელი ვარ!

**ჰაჯი**. ყოვლად მოწყალევ, ჩემო მეფევ, გიორგი, ნება მიბოძე მოგართვა ფირმანი ირანთა შაჰის უდიდესისა ბაბა ხანისა და იმისი ბარათი მისს კეთილის და ვარსკვლავისებრივი მწიფე ხელით დაწერილი. (**ერთს თავისიანს გამოართმევს ოქროს ხონჩას, რომელზედაც ფირმანი ძევს, მიუახლოვდება გიორგის. ცალ მუხლზე დაიჩოქებს, ხონჩას თავზე დაიდებს და ისე მიართმევს გიორგის. გიორგი წამოდგება და აიღებს ხელში ფირმანს, ხონჩას თათარი ჩამოართმევს და გადასცემს ერთ-ერთს იქ მდგომ ქეშიკთავანს. ამის შემდეგ მეორე სპარსი მიართმევს ჭაჭის მეორე ხონჩას. გიორგი აქედანაც აიღებს ბარათს. ამ ხონჩასაც თათარი გადასცემს ქეშიკს; რომელსაც ორივე ხონჩა გააქვს სცენიდან. ორივე სპარსი, რომელთაც ხონჩები ეჭირათ, ჭაჭისავით ცალ მუხლს მოიდრეკენ გიორგის წინაშე და როცა ჭაჭა წამოდგება, ესენიც წამოდგებიან და მივლენ თავ-თავის ადგილს და ისე დადგებიან, როგორც წინად. გიორგი ფირ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანსაც და ბარათსაც გადასცემს თათარს, რომლაც გიორგის ფეხთით დასდებს ტახტის მესამე საფეხურზე. ჰაჯი ამას რომ დაინახავს, ცოტათი შეიჭმუხნება უკმაყოფილების ნიშნად).

**გიორგი**.. ამას მე გადავშინჯავ, გადავიკითხავ და პასუხს არ დაგიგვიანებ.

**ჰაჯი**. იქნება კიდევ ორი თვე მაცდევინო?! არა, კმარა ჩემთვის რაც მე ვიცადე! დღეს თუ არა, ხვალ მაინც მიწყალობე შენი პასუხი... მე ნებას ვაძლევ ჩემ თავს, მოგმართო უმდაბლესისა თხოვნით, ჩემო მბრძანებელო, მარტოდ დავრჩეთ მე და შენ, რადგანაც საიდუმლო რამ მაქვს მოსახსენებელი.

**გიორგი**. მე, წმიდათ ვიცავ განსვენებული მამი ჩემის, ერეკლე მეფის ანდერძს, რომლის ძალით, 1783 წელს რუსეთის სახელმწიფოსთან ზავის შეკრულობით მე მივიღე მფარველობა რუსთა მეფისა და ამიტომაც არ შემიძლიან შეწყნარება სხვისი ვისიმე თხოვნის, თუ ამაზედ რუსთა მეფის ნება-რთვა და დასტური არ მექმნება, ამიტომაც არავითარს საიდუმლო საუბარს ვერ გაგიწევ უვეზიროდ. (უჩვენებს კოვალენსკიზე, რომელიც ზის სავარძელზე გიორგის ტახტის გვერდით, მარჯვნივ) არამც თუ ვერ გაგიწევ, არც მინდა მაგისთანა საიდუმლო საუბარი.

**ჰაჯი**. ოჰ, მოწყალეო მბრძანებელო ჩემო! ბედნიერადა ვსთვლი ჩემ თავს, რომ საიდუმლო საუბრის ნებას მაძლევ რუსთა ვეზირის თანადასწრებით. (კოვალენსკის, წამოდგომით მძიმედ თავს დაუკრავს, აგრეთვე ამისი ამალაც. კოვალენსკი ოდნავ უკრავს თავს) მაგრამ გთხოვ, სხვანი ყველანი დაითხოვე აქედან.

**გიორგი**. კარგი! მაგ შენსა სურვილს ადვილად შევასრულებ! ამილახორო ოთარ! აღასრულე ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანის სურვილი. (ოთარი ხმამოუდის ყველა იქ მდგომთ და ყველანი გავლენ თაღიან კარებში)

## VII

**გიორგი მეფე, კოვალენსკი და ჰაჯი-იბრაჰიმი.**

**ჰაჯი**. მე... ჩემი დიდი გაკვირვება უნდა მოგახსენო, რომ შენ ტყუილა-უბრალოდ და დაუმსახურებლად დამტოვე უსაქმურად შენს ქალაქში მთელი ორი თვე, რომ ჩემი თანამდებობის ღირსებისამებრ მიგეღე სადარბაზოდ.

**გიორგი**. მაგისი მიზეზი შენ კარგად იცი, მე ავად ვიყავი და ამიტომაც ისე ვერ მიგიღე, როგორც საჭირო იყო.

**ჰაჯი**. მაინც და მაინც შენ ისე არ მიმიღე, როგორც საჭირო იყო ელჩის მიღება და როგორც დაწესებულია უცხო ქვეყნის წარჩინებულთა პირთა მიღება! შენ უნდა დამხვედროდი შენი სასახლის შესასვლელ კარებთან და არა ტახტზედ მჯდომარე! შენი მემკვიდრე მაინც უნდა დამხვედროდა კარებში, მაგრამ შენ ავადა ხარ, როგორცა ბრძანებ, მაშ მაგას დავანებოთ თავი! რომ არც შენი ძე ვინმე დამიხვდა კარებში, ალბად რამე მიზეზი იქნებოდა. მაშ ამასაც დავანებოთ თავი!., ირანთა მპყრობელი, მზისებრი, ჩემი ყოვლად მბრძანებელი შაჰი ბაბა-ხანი ფრიად გაკვირვებულია, რომ რადგანაც იმისთვის გაუგებარის მიზეზით შენ მოუსპე შაჰს ყოველი მეგობრული კავშირი და სპარსეთს აღარავითარს საქმეზედ აღარ ეკითხები. ბაბა-ხანი ძველებ-ურადვე მოწყალე თვალით გიმზერს!.. როცა წაიკითხავ მაგ ფირმანს და ბარათს, რომელნიც აგრე უღირსადა გდიან შენს ფეხთა ქვეშ, მაშინ კარგად შეიტყობ, თუ რა წყალობას გიმზადებს შენ შაჰი და მაშინ უარს არ იტყვი იმის სურვილის აღსრულებაზე და იმის მტკიცე ბრძანებაზედ.

**გიორგი**. სპარსეთთან რაიმე საქმეების გასარიგებლად რუსთა იმპერატორის ვეზირი ბრძანდება ჩემთან და ამიტომაც პასუხის მოცემა შემიძლიან მხოლოდ ამ ვეზირის პირით... მაგრამ, მინდა შენგან მოვისმინო, რა სურვილი აქვს შაჰს და რა მტკიცე ბრძანება არის იმისი?

**ჰაჯი**. შაჰს ჰსურს, რომ ყოველი უკმაყოფილება თქვენ შორის მოსპობილი იყოს და თავისი უხვი წყალობის ნიშნად და შენი ქვეშევრდომობის დასამტკიცებლად, თავისი საყვარელი ძე, აბას-მირზასათვის თხოულობს ასულსა შენსა თამარს, რომელიც თავისის უებრწყინვალესის სილამაზით დაუმშვენებს იმის სიცოცხლეს.

**ქ. ყიფიანი**

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისფერი ყვავილები

შ. წ. კ. გ. საზ. მოღვაწენი(*)



დ. ი. ყიფიანი



ი. გ. ჭავჭავაძე



ი. გ. მაჩაბელი



ს. ს. მესხი

*) ზოგი სურათი ვერ ვიშოვნეთ.

1.

ფოთოლთ შრიალს დაჩვეული რად შეაკრთე ჩემი სმენა?
რად მიქციე ტრფობის ალად ტყის უსიტყვო ბლმაფრენა?
შენს სიმღერას ნეტავ ნისლი მოხვეოდა სხივ-ამღნარი,
ნეტავ ფიქვთა უწყვეტ ღაღადს დაეფარა ხმა ნარნარი!
შენს ხმას გრძნეულს დავედევნე, შენ გამექეც, არ მეჩვენე,
დღე დავკარგე შენის ძებნით, ღამე ტყეში გავათენე.
და რიჟრაჟზე, როს ტირიფი დილის ცვარით ფოთლებს ჰბანდა,
ტბის ნაპირად, ტბის სარკეში შენი სახე მომელანდა.
მე ავკვეთე ჭავლი ტბისა, სარკედ შლილი ბროლის ალი,
ტბას წავართვი შენი სახე, წყალში ლანდათ გამომკრთალი,
და სურათი ხელთუქმნელი გულს ჩავიქდე, შევინახე.
შენ, ტირიფში დამალულმა, რტოთა რხევით გაიცინე.
რას იცინი? მე რაც მსურდა, ხედავ?—უკვე შევიძინე—
ტბას არა აქვს შენი სახე, თუ არ გჯერა—მოდი, ნახე!

2.

დღეს ნუ წახვალ, ჩემთან დარჩი, დღეს, ხომ ხედავ, სულ სხვა დღეა,
დღეს ტბა, ხედავ?—ტყეს ემსგავსა, და ტყეში კი ვით ტბა—ტყეა.
დღეს ზეცაში მეჯლისია, უყივიან ცეცხლის რაშებს,
დღეს ზეცაში ცის მეუფე ანგელოსებს ათამაშებს.
მაშ რად არის ტყე ამ გვარად მორთული და მოკაზმული?
მაშ რად ტოკავს ეს ფოთოლი, ვით პეპელა ფრთა-ასხმული?
ან შეხედე, ეგერ, მწვერვალს, რამ მოჰქარგა ის ამ გვარად?
მაშ, სთქვი, რატომ ამუსიკდა ტყის მიდამო ღვთიურ ქნარად?
დღეს უთუოდ დიდი დღეა, ციურ არსთა საამო დღე.
მიტომ არის დედამიწაც სხივნაფრქვევი ვით სამოთხე;
და ჩემს სულსაც ეს მშვენება ასე მიტომ აელვარებს.
დამიჯერე, დიდი დღეა, მაშ რად მათრობს მე ხმა შენი?
რად მაგონებს ვარსკვლავს შუქი, შენს თვალებში ელვად მჩენი?
ან თმა, შუბლზე მოთამაშე, ასე ძლიერ რად მახარებს?..

3.

შუქ-წითელი ვარაყ-ნამით მთა დათრთვილა ღრუბლის ქაფმა.
ცისკიდური ამოჰქარგა მზით დაფერილ ცეცხლის ძაფმა.
მზე ჩავიდა. ლაჟვარდ ნისლით აფერადდა მთის ხვეული.
დარჩა მზისგან ორი სხივი, შენს თვალებში დამწყვდეული.
და შენი თმა, ღმერთო ჩემო! ალის ტალღებს დაემსგავსა.
თითქოს ზეცით ვარდის წყალი დაესხურა ძოწალ-კავსა.
ჩამავალ მზეს შენი სახე ალბათ ისე მოეწონა,
რომ დასტოვა მან შენს თმაში ოქროს სხივთა მთელი კონა.
ჩემო სულო! მე, შენს მძებნელს, წინ მზის სხივი მიმიძღოდა,
და ჰა, გნახე მზის პირისპირ. ამისრულდა რაც მინდოდა,
და ვით ღვთიურ ქანდაკებას მუხლ-მოყრილი შემოგცქერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, ვაგლახ! ცის დასავალს ვერ მოვსწყვიტე შენი თვალი,
მე ვერ მხედავ, ცას გაჰყურებ, სხივთ-აკორდით სმენა-მთვრალი,
და შენს თვალებს ბადეს უქსოვს მზის თილისმა მრავალფერი.

4.



ი. გოგებაშვილი

მე დავუცდი ღამის მოსვლას, რომ შენს ღიმილს მივეგებო,
რომ შენი თმის ოქროს შუქით მე ფიქრები შევიღებო.
თვალს მივაპყრობ ცის დასავალს და არ დავხრი განგებ თავსა,
სანამ მწუხრი არ აცლის ცას მზის სხივთა სალებავსა.

და რომ ღამის ანგელოსი ლურჯ კაბადონს ფრთას შეახებს,
და ცის ტაძრის ასანთებად თეთრ ვარსკვლავებს დაუძახებს,
მე ჩავიცვამ ღრუბლის პორფირს, ზღვის ქაფივით გათეთრებულს.
თავს დავიდგამ თეთრ გვირგვინად შუქ-ჩანჩქერა ვარსკვლავთ კრებულს.



ნ. ზ. ცხვედაძე

და ავყვები ბილიკს მთისას, რომ ოცნება განვიცხადო,
რომ შენს ძახილს, ტყით მონასმენს, იქ, ტბის პირად დავუცადო,
და ლოდინით მოღლილ გრძნობას ტრფობის ალი მოვახვიო.

ჩვენს თეთრ ნავზე გაიშლება თეთრი ღრუბლის იალქანი,
და გატყდება ბროლის სარკე, ტბის უზვირთო დასაქანი,
და ტბის ვარდათ გაშლილ თეთრ ნავს მოიტაცებს ღამის სიო.

5.



დ. ი. სარაჯიშვილი

მზემ გადმოშალა ქსოვილი თეთრის და წითელ ძოწისა.
ლალის შადრევანს ერთოდა ციალი თეთრ სადაფისა.
ამ დროს გიხილე ტყის პირად ყვავილი ოქროს ქაფისა,
გაშლილ თმას ცეცხლს უღვივებდა ქროლა ნიავის სწრაფისა.

ვნახე ცისფერი თვალები, წარბი—ნახშირის შავისა.
მკერდზე—ორ მტოკავ თეთრ ვარდზე ორი მარცვალი მჭნადისა.
ტანი ნაკვეთი ქვისაგან, თეთრი ვით ძვალი სპილოსი.
ბროლის თითებზე ფრჩხილები ვარდისფერ მარმარილოსი.

თმა დილის შუქით ნაფერი, სხივები მზისა სრულისა,
ტუჩები—ორი ნაპირი გამსკდარი ბროწეულისა
და წითელ ვარდში მომწყვდეულ ცვარის სადარი კბილები.



დ. კარიჭაშვილი

შენსკენ მოქროდნენ ყოველმხრით სხვა და სხვა ფერის ფრთისანი
ფარფატ პეპლებად ჰქცეულნი ყვავილნი მწვანე მთისანი
და თამაშობდნენ შენს ირგვლივ, მზის სხივით განბანილები.

6.

დილით, როს ცისკრის ლალადი გააქრობს ღამის ლანდებსა,
სანამ მზის თვალი ფოთლებში ჩაჰყრიდეს ბრილიანტებსა,
ჩემსკენ ისწრაფე, აჩქარდი, ტყეში ნუ დაგვიანდები,
მე შენ მოგელი ყოველ წუთს, ლოდინით თვალ-ანანთები.

წუხელის ვნახე სიზმარი: შავი კლდის სვეტზე ვდგებოდი,
შენი ძახილი მესმოდა, უფსკრულში ვიხედებოდი.
ძირს მიცოცავდა ჩანჩქერი, ზევიდან ვაკვირდებოდი,
ჩანჩქერი გველად მოსჩანდა, შენ კი გველს ემალებოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ დაიყოვნებ, გენუკვი, ადრე აინთე თვალები,
წამოდი, ვიდრე მთის წვერზე დასცვივა ცეცხლის რკალები,
სანამ განახავდეს მზის სახე, ტბის ჰავლში ნალივლივები.

მე მოვაგროვე ბალახში ფირუზი ალმას-ლალები,
და შენ მოგელი დალლილი, ლოდინით განაწვალები.
მოდი, დაგხვდება ფოთლებში ჩემი ცრემლების მძივები.

ქ. შ. წ. კ. ს. მოღვაწენი



ე. რ. გაბაშვილისა

7.

ფერად პეპლებით ავავსე ჩანჩქერი შენის თმებისა, —
გშვენოდა ართოლა-ფართხალი აფერადებულ ფრთებისა,—
გარს მოგხვეოდა დუმილი შუადღით დამთვრალ მთებისა,
ბადე გემოსა ფოთლებში შემოჭრილ მზის სხივებისა.

დუმილში ვპოვე ჩურჩული ათასნაირის ხმებისა.
ყური დავუგდე—მომესმა წკრიალი ამ რითმებისა,
ვით რეკა ვერცხლის სარკეზე დაყრილი ძვირფას ქვებისა,
ვით მოციმციმე სიცილი ფოთლებზე მცურავ ცვრებისა.

ავკრიფე ჰანგი ციური, მიწის კალთაზე მჩქეფავი,
შუქი ავსწურე მზიური, მიდამოს ოქროდ მღებავი,
ფერი ჰანგს შეუკავშირე, ვით ზვირთნი ჩვენის ცნებისა.

და ჰა, ხომ ხედავ?—გამოჩნდა მშვენების საკურთხეველი, —
მალე დაჰბურავს ყველაფერს ნარნარი, ვით საკმეველი,
ცისფერი ნისლი თვალების, სურვილით ანანთებისა.



ა. მ. თ.-წერეთლისა

8.

გეძებდი: ხან ტყეს ვფურცლავდი, ხან მ ის ნაპრალში ვძვრებოდი,—
გნახე: მზისაგან დევნილი წაბლის ხეს ეფარებოდი.
ჰგავდა ციმციმი შენი თმის ოქროს ფოთლების რხევასა,
გშვენოდა ტანის სიტიტვლე ვით უცოდველსა ევასა.

შენ ვერ დითრგუნე ღალადი შეუცნობელის ძალისა,—
ვნების ბურუსმა წაგართვა შუქი ცისფერის თვალისა,
და გაიღიმე: ალმასმა ვარდის ფოთლები გაჰკვეთა...
ალერსის ცეცხლით დავფერფლე ხიწითლე შენთა ბაგეთა.

და ვით ტლუ ნავი ცივ ზღვაში ცბიერ ზვირთებით დანთქმული,
ცისფერ თვალებში დავკარგე ტრფობის წალკოტი აღთქმული
და გარს შეხვევა სირცხვილი, ვით სამოს-შემოხეულსა...

სანამ შორს იყავ—გეძახდი, მხიბლავდა შენი სახელი,
ახლა შენთან მყოფს, დარცხვენილს, რად მტანჯავს ჩუმი ნაღველი?
ნეტავ თვალს რისთვის ვარიდებ აქამდის ნანატრ სხეულსა?!.



ნ. ი. ნაკაშიძე

9

ღამე მოვიდა და მთის თხემზე ჩრდილი გაშალა,
არ დააცალა ცის აქარგვა ღრუბლის ფერიას,
ლაჟვარდ კუნძულზე აფეთქილი ბალი წაშალა,
ფრთა დააფარა წითელ ვარდსა და ცისფერ იას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენი დუმილით შეიმოსნენ ჩრდილ-მოხვეულნი,
და მთის ყვავილნი მწუხრის ჟამად ბინდ-მონაფენნი,
ზე წამოფრინდნენ, ვით პეპლები ფრთა-შერხეულნი
და ცაზე დასხდნენ ვარსკვლავებად მოკიაფენი.

ადგილს მოვნახავ შენის ფეხით გარდანალახსა
და იქ გავიშლი სარეცელად სურნელ ბალახსა,
და იქ მოვიცდი, შენზე ფიქრით თვალ-ახვეული.

შენზე ოცნება მე იქ ლოდინს გამიადვილებს,
მე იქ დავუცდი შენი სახის ცისფერ ყვავილებს,
ღამის ალერსით შემოსილი, ნამ-დაკმეული.



რ. დ. ერისთავი

10

— ჰაუ! გეძახი ტყედ მავალი, შენი მძებნელი.
— ჰაუ! მომესმის მე პასუხად ჩემის ძახილის.
და კვლავ სიჩუმე იპყრობს ნიავს და სდუმს ტყე ბნელი,
ჰქრება ჩურჩული ფიჭვ-ნაძვნარის, ტოტებ-დახრილის.

ღამემ დაჰფარა ტყის ბილიკი შენსკენ აჭრილი,
ნამულს ბალახზე ველარ ვარჩევ შენს კვალს ნაცნობსა.
ბნელა გარშემო, და ტევრ-ასხმულ მთების აჩრდილი
აჩრჩობს ნაპრალში ფრთა-შებორკილს ღამის მნათობსა.



გ. თ. ყიფშიძე

ხეზე ავდივარ და გავსძახი ცის ბჭეს მოწმენდილს,
მაგრამ შენს სახელს, ჩემს ბაგეთგან კვნესით მოწყვეტილს,
უკან მიბრუნებს მთა მრისხანე ფაფარ-აყრილი.

— ჰაუ! გეძახი სასო-მქრალი და დამაშვრალი.
მთვარე ცალ-თვალა მთას ეყრდნობა სახე-დამცხრალი
და მე დამცინის: —ჰაუ! მესმის გაშოძახილი.

11

მე აქ მარტო ვარ, როგორც ქარი მთად მოთარეშე,
და როგორც ქარი მთის ორწოხში, ვგოდებ მე ხშირად.
უნათესავოს არავინ მყავს მე შენს გარეშე,
მოღლილი სულით რომ დავეყრდნო უფსკრულის პირად.



ა. როინაშვილი

დიდია სივრცე, ოთხივ კუთხით განუზომელი,
და მე მარტო ვარ ქვეყანაზე, გესმის?—სულ მარტო.
შენ თუ ვერ მხედავ—ვისთვის ვიყო სხივთა მკრთომელი?
შენ თუ არ მისმენ—ჩემი ქნარი ვისთვის მოვმართო?

სხვა ვინ გაიგებს, ვის ვასმინო ს ლის გოდება?
სხვა, შენს გარეშე, ჩემს სიმღერას ვინ ელოდება?
არავის იცნობს ჩემი სული არსად შენს გარდა.

მაშ რად მეკრძალვი, ხომ არ დასჭკნა შენს გულში ვარდი,
ჩემი ფრთა-ასხმულ სიყვარულის ცრემლით ნაზარდი,
ან დავიწყების ხომ არ ჰბურავს მას ბნელი ფარდა?

12

მაშინ ტყე ჰგავდა ტბას მოციმციმეს.
მაშინ ტყის სამოსს ქარი არ ხევდა.
ხანტი ნიავი კოცნით არხევდა
ფოთლით დატვირთულ შტოთა სიმძიმეს.

მაშინ ტბა ჰგავდა ტყეს აქოჩრილსა,
მაშინ ტბა ტალღის შტოს ადარებდა.
ნიავი ფრთხილად დაატარებდა
ვით მწვანე შტოებს—ტალღებს მორჩილსა.

შენ შეგცინოდა მაშინ ჩანჩქერი,
მზის თეთრ სიცილით თეთრად ნაფერი,
და ვერცხლის ჩანჩქერს შენ შესცინოდი.

მთა ლაჟვარდობდა ნისლ-წარხოცილი
და კეკლუცობდა ტყე შემოსილი
აბრეშუმითა და ოქსინოთი.

13

ახლა ტყის სამოსს ყვითელ ფარჩისას
ცივი ქარი ჰხევს დაუნდობელი,
და ნისლი აქრობს ფრთა-ულმობელი
სევდიან ღიმილს სხივ-ამღწარ ცისას.

ახლა სიყვითლე შემოდგომისა
ებრძვის ზაფხულის ფერთა სიუხვეს;
მთებში აკვნესებს ჩქერთა ციურ ხმებს
მწარე ქვითინი დასავრდომისა.

ტბა არ კოცონობს სხივ-შეჩერებით,
ტყე არ იცინის ყვავილთ ფერებით,
არც მზე,—ქალწული შუქურ-თმიანი.

კლდე იცრემლება თვალ-ანატირი
და ითალხება მთების ნაპირი,
ოდესღაც ცისფერ ჩუქურთმიანი.

14

მე დღეს ვესტუმრე ნაცნობს ადგილებს.
ვნახე მთის ფერდის მწვანე სარჩული,
ყვითელ ფოთლებით გადაფარჩული,
და ვერსად შევხვდი ცისფერ ყვავილებს.

ყვავილთ ფერია ახლა არა ქსოვს
ყვავილთა ნოხებს ცრემლ-ნათოვ მთებში,
და ტყეს დამარხულს ყვითელ ფოთლებში,
ია ცისფერი იქნებ არ ახსოვს.

ყვითელ ტყესა ჰგავს ჩემი სულიცა,
იქაც ცრემლს აფრქვევს ფერ-წასული ცა,
იქაც ქვითინებს ჰანგი ჰქრობისა.

მაგრამ ორ იის ცისფერ ყვავილსა,
შენი თვალების მსგავსად გაშლილსა,
იქ ვერ დაჰქრობს ფერფლი გრძნობისა.

ბაკურიანი, 1914 წ.

ს. აბაშელი

ქ. შ. წ. კ. ს. მოღვაწ.



ლ. ბოცვაძე

# უძველესი საბერძნეთის თეატრი

საბერძნეთში დრამის განვითარებასთან ერთად თანდათან გამომუშავდა წარმოდგენების დასადგამი შენობის ტიპიც. როგორც ვიცით, წინად, სამსხვერპლოები წარმოადგენდენ თეატრს და პირველი წარმოდგენაც აქ გაიმართა. ამიტომ როდესაც თეატრის შენობის ტიპის განვითარებას შევეხებით, შეუძლებელია არ შევეხოთ სამსხვერპლოებსაც. სამსხვერპლოებთან ხდებოდა სარწმუნოებრივი დღესასწაული, რომლის შინაარსიც წარმოადგენდა თეატრის ჩანასახს. სარწმუნოებრივი დღესასწაულის განვითარებასთან ერთად სამსხვერპლოების შენობებიც შეიცვალა. რამდენიმე ხნის შემდეგ ქვებით ამაღლეს სამსხვერპლოს ადგილი. გუნდი სამსხვერპლოს გარეშემო იყო შემოკრებილი, ხოლო მსმენელები კი გუნდს გარს ერტყა. როდესაც შემოიღეს გუნდის წინამძღოლობა, მაშინ მათთვის სამსხვერპლოს მახლობლად გააკეთეს ხისაგან ამაღლებული ადგილი. დღეს ამ ადგილს სცენას უწოდებენ. ყოველი მაყურებელი ცდილობდა დაეკავებია ისეთი ადგილი, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა უკეთესად ეჭვრიტა სცენაზე მომხდარ ამბისათვის. უკანა რიგზე მყოფნი შესდგებოდნენ ქვაზე, ან მათ მიერ სახლიდან მოტანილ სკამს, მაგიდასა და ქვევრზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გარემოებამ აიძულა დღესასწაულის გამმართველნი დღესასწაულზე მოსულ საზოგადოებისათვის ხისგან ამოტვიფრული ადგილი გაეკეთებინათ. ერთხელ ესხილოსის ტრაგედიის წარმოდგენის დროს ეს გაკეთებული ადგილი ჩატყდა და რამდენიმე კაცი იმსხვერპლა, ზოგიერთიც დაასახიჩრა. ამის შემდეგ ხისგან გაკეთებული ადგილები შეცვალეს ქვის ამფითეატრებით. ხისგან გაკეთებული სცენაც ქვის სცენად გადააკეთეს. სცენას მიადგეს უკან მთელი შენობა, რომელსაც უწოდებდნენ მაშინ პროსკენის. პროსკენი ანუ დეკორაციული კულისები მორთეს კოლონებით, ქანდაკებებით და ბარელიეფებით.

საბერძნეთის ამფითეატრი დღევანდელ სატეატრო დარბაზზე ბევრად დიდი იყო. ათენის ამფითეატრი 27 ათას კაცს იტევდა. გადახურული არც სცენას და არც ამფითეატრს არ ქონდა. წარმოდგენები ხდებოდა ღია ცის ქვეშ დილის სინათლეზე. პროსკენი კი სცენის იქით იყო, ამფითეატრიდან არ ჩანდა და იყოფოდა რამდენიმე ოთახად. ამ ოთახებში მსახიობნი წარმოდგენის დროს გადიცვლიდნენ ტანისამოს. აქვე ინახებოდა მსახიობთა კოსტიუმები, ნიღბები და სხვა საჭირო ნივთები. გუნდი მოთავსებული იყო სცენის წინ, მაგრამ უფრო დაბლებულ ადგილზე. ამ ადგილს ორხესტრს უწოდებდნენ, დღეს კი ორკესტრს უწოდებთ. ასეთი იყო საბერძნეთის თეატრის შენობა დასრულებულის სახით.

ბერძნებმა სათეატრო ხელოვნების ტექნიკური მხარეც განვითარების უმაღლეს საფეხურამდე აიყვანეს. სცენიურ ილუზიების გასაძლიერებლად პირველად იმათ იხმარეს დეკორაცია, რომელიც არისტოტელის დროიდან სოფოკლემ შემოიღო. ეფექტების მოსახდენად შემოღებული იქნა აგრეთვე სხვადასხვა მანქანა. მსახიობის სიმაღლის გამოსარჩევად ხმარობდნენ მაღალ ქუსლებიან ფეხსაცმელებს, ეგრეთწოდებულ კოტურნებს. ამ ხანებში გრიმის მაგივრად ნიღბებს ხმარობდნენ.

მაშინდელ მსახიობის თამაში, რასაკვირველია, განსხვავდებოდა ახლანდელი მსახიობის თამაშისაგან. ამფითეატრის დიდი დარბაზი თხოულობდა მსახიობისაგან ხმამაღალ და ქუხილით ლაპარაკს. მაშინდელი მსახიობნი რომ გრძნობების ბუნებრიობით და სინამდვილით გადმოცემას ცდილობდნენ, ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი. მსახიობმა პოლმა, რომელსაც უნდა სოფოკლეს ტრაგედია „ელექტრაში" შვილის სიკვდილით მწუხარე დედის როლი შეესრულებინა, გამოიტანა სცენაზე [illegible] და მკვდარი ბავშვით.

საბერძნეთის უძველესი თეატრი სახელმწიფო დაწესებულება იყო. სახელმწიფოთნი აშენებდნენ შენობებს წარმოდგენისათვის. სახელმწიფოები ნიშნავდნენ დღესასწაულის გამმართველ არხონტებს. ესევე სახელმწიფო აძლევდა მსახიობთა და ავტორთ ჯამაგირს და აჯილდოვებდა ხორეგს, რომელშიაც შეძლებული პირთა წარმომადგენლები შედიოდნენ, გამოყოფით გუნდის შესანახი ფული. „ხორეგას" სახელწოდება საპატიო ითვლებოდა და მისი მოვალეობა სახელმწიფოს ბეგარის მსგავსი რამ იყო.

ამფითეატრებში შესვლა პირველად უფასო იყო, მაგრამ შემდეგ კი, როდესაც სახელმწიფომ თეატრების იჯარით გაცემა დაიწყო, სახელმწიფო ხაზინა აძლევდა მცირე შეძლების პატრონს ორ ობოლს თითო სულზე, და ეს ორი ობოლი ეყოფოდა არამც თუ ბილეთის ჩაგდებათ, არამედ წარმოდგენის დროს გამაგრილებელი სასმელის დასალევადაც.

თვით წარმოდგენას მეჯიბრების ხასიათი ჰქონდა. დიონისის ყოველ დღესასწაულზე ერთმანეთს მეჯიბრებოდა სამი ავტორი. თითოეულ ავტორს უნდა წარმოედგინა სამი ტრაგედია და ერთი კომედია. მსაჯულებს, რომლებიც სწყვეტდნენ, თუ რომელმა ავტორმა გაიმარჯვა, ირჩევდა ამრჩევლები, რომლებიც თავის მხრით თითო ოლქისაგან იყვნენ არჩეული.

დიონისის დღესასწაულებზე გამარჯვება ავტორისათვის უდიდესი პატივი იყო. გამარჯვებულს ნება ჰქონდა დაედგა თავისი ქანდაკება დიონისისათვის შეწირულ ტაძარში, სადაც უნდოდა. აგრეთვე მისი სახელი გამოიჭრებოდა მარმარილოს ფილაზე და ერთი მოდგმიდან მეორე მოდგმას გადაეცემოდა. გამოჩენილ დრამატურგ-მგოსნების სიკვდილის შემდეგ სახელმწიფო მათ საფლავზე სდგამდა ქანდაკებას (ბიუსტს) და ან აგებდა ბრწყინვალე მავზოლეუმს.

რა განათლების პატრონი იყვნენ მაშინდელი დრამატურგნი და ან როგორ თამაშობდა თეატრი? ამაზე შემდეგ.

გიგლა მეხუჯე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სათეატრო დასი თელავში*)

**თელავს** გასულ ზაფხულს ბედი ეწია და თბილისის თეატრის მსახიობთა დასი ეწვია. სასიხარულო, სასურველი მით მაინც იყო, რომ ახლო გავეცნობოდით ჩვენი თეატრის შინაარსს და ძალას. დასში იყვნენ: ქ-ნნი ნ. ჩხეიძე, ხ. დავითაშვილი, ს. ბეჟანიშვილი; ბ-ნნი ქორელი (რეჟისორი), კორიშელი, გომელაური, და (ორ წარმოდგენაზე მოუმატეთ) ბ-ნი იმედაშვილი; ადგილობრივი მსახიობქალი ქ. გოგოლაშვილი და სცენის მოყვარენი. დაიდგა პიესები — ნათარგმნი: „უბედური ნაბიჯი", „სოფლის ექიმი", „მედეა", „ოტელლო", „მარგარიტა გოტიე" და „მამულ-დედული"; ორიგინალური: „სამშობლო" ერისთავისა, „ციცინათელა" ნ. მიქაშვილისა, „განწირულნი" შოთა დადიანისა და „თავისუფალი სიყვარული" ქ-ნ სევდიასი წარმოდგენები იდგმებოდა თელავის საკრებულო დარბაზის ხუთ ნაბიჯიან სცენაზე და პიესები „ოტელლო", „მარგარიტა გოტიე", „მედეა" სულ ვერ თავსდებოდა ამ სცენაზე, ვერც მისი მხატვრული მხარე უწყობდა ხელს. აშკარა იყო ეს პიესები დაიდგა იმისთვის, რომ ესა თუ ის მსახიობი შესანიშნავად ასრულებს ერთ ერთ როლს, რაიცა თეატრის მიზანს არ შეადგენს და ესეთი პირობების გამოჩენაც შესანიშნავ მოთამაშეს ხელოვნებას უდუნებს...

ნათარგმნ პიესებს მეტი გულმოდგინება და მოხერხება ეტყობოდა დადგმაში, ვიდრე ორიგინალურებს, ეს თუ ჩვენ სცენაზე ჩვეულებრივია, დამმარხველია დრამატიული ლიტერატურისა..

საზოგადოება განსაკუთრებული ინტერესით მოვიდა ორიგინალური პიესების სანახავად. პოეტური ნიჭის პატრონის ნ. მიქაშვილის „ციცინათელაში" მაყურებელთა აზრის გაცვლა-გამოცვლა მეტად შესძლო და დაკვირვებით იქმნა მოსმენილი. პიესის აზრი, აკინძვა სიტყვის მახვილად და კოხტად თქმა თვით პარადოქსებისაც კი ცოცხლად აწარმოებს მოქმედებას. იდეა პიესისა თუმც ახალი ამერიკა არ არის (ან რამდენი უნდა იყოს ამერიკა!), მაგრამ გრძნობით როგორ ნორჩად სჭრის იგი ავტორის გულს. ხედავთ ავტორი როგორ მძივებით ჰკინძავს მრავალ უბედურებას, საზოგადო აზრის ძალ-დატანებისაგან პიროვნების მიერ ჩადენილ სიცრუეზე. ეს იქნება საზოგადოებას არ მოეწონოს, მაგრამ დაახსომდება კი... „განწირულნი", შოთა დადიანისა, შესაძლებელია უხეიროდ შემოკლებულ-დამახინჯებული იყო, რომ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქო უმიზნო, უშინაარსო დრამაა.

„თავისუფალი სიყვარული" ქ-ნ სევდიასი სათაურით უფრო მეტს აზრს შესძრავს გონებაში, ვიდრე მთელი პიესა. სცენაზე სწარმოებს შაბლონური საჭორაო მასალა სოფლისა, „შეყვარება გაყვარების" საქმე, და არა ჩანს არამც თუ არავისი რწმენა, დანიშნულება, მიზანი, პრინციპი, არამედ ისიც კი, თუ რად მოქმედებენ ასე, ან ისე, ან რა ავლადიდების პატრონნი არიან იგინი — ინტელიგენტნია, თუ არა, თუმცა მათში ექიმიც არის, სტუდენტიც და სხ.

სცენაზე მოთავსდა და გულ-მხურვალეთაც იყო დადგმული ზუდერმანის „მამულ-დედული" ქ-ნ ნ. ჩხეიძის საბენეფისოდ. პიესა ცნობილია და ჩვენი ქება არ ესაჭიროება. კარგი ანსამბლით იყო ნათამაშევი, მობენეფისემ თავისი შეუდარებელი თამაშით, თავიდან ბოლომდე შეგნებული ტონით და შესაფერი დიქციით ჩატარებული როლით გვაგრძნობინა, თუ რამდენად ღრმად ესმის მებრძოლი სული განთავისუფლებული დედაკაცისა; ესმის სიამაყე, რომლითაც შეიმოსება დამოუკიდებელი ქალი „ცოდვით" ამაღლებული და რა სათუთი გრძნობიერებით ულმობლად გასწორებს ამ ქვეყნიურს ბევრს უგვანობას.

**ბაბო სულხანიშვილი**

*) ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ეს წერილი თავის დროზე ვერ დაიბეჭდა. რედ.

# ქართული სახიობა

**ბაქოს დრამატიულმა წრემ** შაბათს, 14/XI, ბალახანაში წარმოადგინა „ხანუმა", კვირას, 15/XI, ბაქოს სომეხთა კაცთ-მოყვ. საზოგ. დარბაზში — „თამარ ბატონიშვილი". ბალახანაში — „ხანუმამ" მწყობრად ჩაიარა.

ჩინებულნი იყვნენ ქ-ნი ანდრონიკაშვილი (ხანუმა), ქ-ნი წულუკიძისა (ქაბატუა), ხოლო წაჩხუბება ერთმანეთზე ხელით მიწევა ულამაზოდ მოუვიდათ, თითქო ერთმანეთს ეხუმრებოდნენ. ქ-ნი ქილარჯიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი იყო, მაგრამ სინაზე აკლდა. კიდეც ყვიროდა ისედაც პატარა დარბაზში. ბ-ნი აწყურელი (აკოფა) მოხდენილი თამაშით დამსწრეთ ამხიარულებდა. ბ-ნი ჯიქია (კოტე) შეყვარებულთა როლებს ვერ სძლევს, სხვებრ ნიჭიერი სცენის მოყვარეა და თავის როლებში,—სადაც სიდინჯეა საჭირო—უფრო მოხდენილი, არა უშავდათ გ. პავლიაშვილს (კოტრიანცი), მატარაძეს (ვანო) და ქუმბურიძეს (მოსამსახურე). ბ-ნ შალიკაშვილის ავადმყოფობის გამო „ხანუმა“ ბ-მა აწყურელმა დასდგა. ხალხი საკმაოთ დაესწრო. გათავდა $11^1/_2$ საათზე.

ბ-ნმა აწყურელმა რავდენათაც რიგიანად დასდგა კომედია „ხანუმა“, იმდენად დრამის „თამარ ბატონიშვილის“—დადგმაში მოისუსტა: როლები შეუფერებლად იყო განაწილებული და არც ხეირიანად ილოდენ, ვისაც კი შეესწავლა ზეპირად—სიტყვასავით აყრიდა. ბ-ნმა ახობძაემ (ელიზბარ) თავისი რიგიანის თამაშით უკანასკნელ მოქმედებაში რავდენადმე გამოისყიდა სხვათა ნაკლი. ისტ. პიესის უხეიროდ დადგმა ბაქოს სცენაზე, სადაც უმთავრესად მდაბიო ხალხი სწრება,—სახიფათოა. ხალხი ქართულ წარმოდგენებს მოწყურებულია, განსაკუთრებით ამ სეზონში, წელს, უმთავრესად. რასაც ჰმოწმობს ყოველ წარმოდგენაზე თეატრის დარბაზის ხალხით გაჭედვა—მას უნდა ნამდვილი ხელოვნება.

გულისაბა.

**ქ. ბათომში** კვირას, 15/XI ქართ. სცენის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა ა. ცაგარლის ისტ. დრ. „ქართველი დედა“, რომელიც წინ გვიყენებს ჩვენს წარსულს დროს, როდესაც ჩვენს ქვეყანას და განსაკუთრებით ქართლ-კახეთს მუდმივ მტერი იკლებდა და ყველაფერს მხეცურად ანადგურებდა. თავ-განწირული ქართველი დედები სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მამულს თავგანწირულ მეომრებს უზდიდენ და არ ზოგავდენ არავითარ პირად გაჭივრებას, რომ თავი.ი სამშობლო ქვეყანა გაენთავისუფლებიათ შემოსეულ მტრისაგან.

თუმცა ადგილობრივ სცენის მოყვარეებს ბევრი დაბრკოლება გადაელობათ, მაინც არ შედრკნენ, და დიდი შრომის შემდეგ განზრახვა სისრულეში მოიყვანეს. საერთოდ. როგორც სცენის მოყვარეებს მოეთხოვება, წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხიც დიდძალი დაესწრო, იშვიათად რომ ბათომში ქართ. წარმოდგენას ამოდენა ხალხი დასწრებოდეს, განსაკუთრებით მდაბიო ხალხი იყო ბევრი, რომელმაც მოთამაშენი უფრო გაამხნევა.

წმინდა შემოსავლის 20% მოხმარდა ომში დაზარალებულთ, დანარჩენი გადაიდო სხვა და სხვა საზოგადო საქმისთვის და შემდეგი წარმოდგენის მოწყობისათვის.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, განზრახულია დაარსონ მუდმივ სცენის მოყვარეთა წრე. განზრახვა ჩინებულია. საჭიროა მოიწვიონ რომელიმე ხელმძღვანელთაგანი და მით უფრო ადვილად შესძლებენ მიაწოდონ ხალხს სულიერი საზრდო, საჭიროა თვით საზოგადოებამ გაუწიოს დახმარება და არსებობის სახსარი მოუპოვოს.

ეს წარმოდგენა პირველი მაგალითი იყო ადგილობრივ მცხოვრებთათვის, შეიძლება თუ არა სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენების მართვა, და ამან დაგვარწმუნა, რომ თუ მოვინდომებთ შესაძლებელია და ყოველ მხრით ნაყოფიერი.

ჩვენის მხრით, უსურვებთ წრეს გაძლიერებას, ურთიერთის შორის მტკიცე კავშირს და ენერგიულად მოქმედებას. დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბილეთების ფასი ჩვეულებრივზე ცოტა დაკლებული იყო, მაგრამ მაინც ძვირი, და ამისთვის საჭიროა ფასებს დაუკლონ, რომ ყველა მშრომელს შეეძლოს ამ გონებრივ-ზნეობრივი წყაროს დაწაფება.

M. D—li

**სოფ. ბექამში** (გორ. მაზ.) ბ. ვ. ციცქიშვილის თაოსნობით აგერ 6—7 თვეა დაარსდა სცენის მოყვარეთა პატარა წრე. ამ წრეში შედიან ამავ სოფლის მოწის მუშის, გლეხის შვილები. ბ. ც—ლის მეცადინეობით მათ (სც.-მოყვ.) შეიგნეს თეატრის მნიშვნელობა, მი.ი მიზანი და საჭიროება. ამიტომაც ბ. ც—ლთან ერთად სცენის მოყვარენი შეუდგნენ მხურვალე მუშაობას და დაიწყეს წარმოდგენების მართვა...

მართლაც რომ ნამდვილი სახალხო წარმოდგენები აქ იმართება: ადგილები—იაფ-ფასიანი (20 კ.—5 კ.), წარმოდგენის დღე—შაბათი, პიესები—შინაარსიანი და მსმენელნი—გლეხ-კაცობა, დემოკრატია.

ზაფხულში ეს „წრე“ მართავდა წარმოდგენებს თვისი შრომით აგებულ საზაფხულო სცენაზე და ეხლა კი სცენის მოყვარეებმა თვითონვე ააგეს საზამთრო შენობა სოფლის სკოლის გვერდით და იქ განაგრძობენ თამაშს.

ბ. ვ. ც—ლი არა ჰგავს იმ ინტელიგენტებს, რომელნიც სოფელში ყოფნას ატარებენ, ძილსა და უსაქმურობაში. ც—ლის შრომა და ღვაწლი ს. ბექამში დაუფასებელია და მის მიერ შექმნილი საქმე ფრიად სიმპატიურია. უეჭველია აქ ეს საქმე ნაყოფს გამოიღებს და ბეკმის პატარა თეატრი მიზანს მიაღწევს: გამოაფხიზლებს გლეხ-კაცობას—გააცნობს წარსულს, ჩაახედებს აწმყოში, მით შეაგნებინებს თვის აუტანელ მდგომარეობას და აიძულებს მომავალზე ფიქრსა და ზრუნვას.

ასე რომ ვ. ც—ლმა ბეკამში არსებულ სოფლის სკოლის გვერდით ააგო მეორე სკოლა—ეს პატარა სახალხო თეატრი...

სწორედ წასაბაძი მაგალითია!

დ—ე

# წვრილი ამბები

**ვალ. შალიკაშვილი** ბაქოში ძალზე დაავადებულა თურმე, ამ ჟამად ბალახანის მრეწველთა საავადმყოფოში წევს და იქ ლორთქიფანიძე-კურხა-

ლობს. ამჟამყოფს ხანგრძლივი მკურნალობა ჭირდება; ჯერჯერობით ბაქოს დრამ. წრე ჰმზრუნველობს.

**ახალშენაზედა მგოსნის** კოკნა-ქუშიშვილის ნაწერების გამოცემა განუზრახავთ მისს ამხანაგ-მეგობართ. წიგნი ხელისმოწერით გამოვა.

**ქუთაისის დასის მხატვარი** ალ. ანდრონიკაშვილი მიმდინარე კვირას თბილისში იყო ზოგიერთ გამტრალიორის გასაწვევად.

**ხაზურთალოს თეატრს 22/XI** წარმოდგენის დროს ბოქაულმა ალექ. შემოარტყა, გამგეობის თავმჯდომარე დაიჭირა და ორი საათი დატყვევებული ჰყავდა (ს.)

**ნაძალადევის თეატრში** კვირას, 29/XI ა. კოგაშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება ა. ცაგარლის „ლეკის ქალი გულჯავარ" და ბალანჩივაძის „უბედური დღე".

**დუტუ მეგრელი სწერს** ახალს სამ-მოქმედებიან დრამა-პოემას „პრომეთეოს." (ამირანი). პირველი ორი მოქმედება უკვე გათავებული აქვს.

**საზოგადო კრება** ქართ. დრამ. საზ-ისა შესდგება ამ მოკლე ხანში.

**ქართ. დრამ. დასმა „ოიდიპოს მეფე"**, რომელიც 26/XI უნდა წარმოედგინა ცირკში, ორშაბათისთვის, 30/XI-ისთვის გადასდო, რომ საზ. წარმ. მმართ. წრისთვის ხელი არ შეეშალნა (წრესაც სწორედ ამ დღისთვის ჰქონდა წარმოდგენა).

**ქუთაისში „ქართული დრამა"** ხუთშაბათს, 3/XII ვანო ბარველის საბენეფისოდ წარმოადგენს პირველად ახალ ისტ. პიესას „ტანტის მემკვიდრე" (დრამა-ფანტაზია 4 მოქ. ი. ბარველისა). გურანდუხტის როლს შეასრულებს დამსახურებული მსახიობქალი ეფ. მესხი. „ვახტანგ ბატონიშვილისას"—მონაწილეობს.

**ერევანში** მსახ. ლ. გულაზოვი ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით ამ მოკლე ხანში ქართულად დადგამს „რაც გინახავს, ველარ ნახავ".

**ქართ. კულტ. მოღვ. საზ-ის კრება შესდგა** შაბათს, 21/XI დღ. საკრ. დარბაზში. თავ. გ. ლ. ქორიდანის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულ ქოლა ლომთათიძის ხსოვნას. ბ-ნმა ივ. ჯ. როსტომაშვილმა წაიკითხა მოხსენება: „ახალი შუქი სწავლა-განათლების საქმეში: ერთი სკოლა და ერთი უნივერსიტეტი მთელი საქართველოსათვის", რომელიც კრების დადგენილებით დაიბეჭდება ერთ-ერთ ქართულ გაზეთში, ამ საგანზე სხვათა მიერაც აზრის გამოსათქმელად.

**გრ. ამაღლობელის ლექცია** „ევროპის ომი და საქართველოს ახალი ეპოქა". 22/XI „ახალი კლუბ." დარბაზში წაკითხული, შინაარსიანი გამოდგა, რის გამოც ახალგაზრდა ლექტორი საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა. დასკვნა მისი ლექციისა იყო—ყველა დასის წევრნი ერთის იდეალისთვის უნდა ვიბრძოლოთ, რომ „ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნოდეს".

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**


## ისიკოვსკის ცირკი-რეკორდში

ორშაბათს 30 გიორგობისთვეს, 1915 წ.

ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **სოფოკლეს** დიდებული ტრაგედია ანტიური ცხოვრებიდამ

# ოიდიპოს მეფე

ნათარგმნი კონსტ. ანდრონისა.

მონაწილენი: ქ-ნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., თოიძე ნ., ქიქოძე ა., ჯავახიშვილი ნ., ჩუბინაშვილი ელ., ბ-ნნი: აბაშიძე ვ., გუნია., გომელაური ზ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იშხნელი გ., მამფორია ი., ქივიძე ი. ადგილების ფასი 10 კ.—1 მან.-დე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

დრამ. საზ-ის გამგ-ის მორიგე წევრი ი. ბარათაშვილი.

## ხარფუხის საზ. კლუბი მიხეილის პრ. № 131

**ერთი კვირის პროგ 8 გიორ. 6 ქრისტ-დე**

**შაბათს** / **კვირა** { სიმებიანი ორკესტრი პრესმანის / ლოტ ბარობით

**ორშაბ.** სინემატოგრაფი; საზანდარი

**სამშაბ.** სიმებიანი ორკესტრი სინემატოგრ.

**ოთხშაბ.** ქართ. წარმოდგენა

**ხუთშაბ.** სიმებიანი ორკეს. პრესმანის ლოტ.

**პარასკ.** საზანდარი, სინემატოგრაფი

**შაბათი** / **კვირა** { ტოლსტოის „ანნა კარენინა" / მუსიკალური საღამო

**შესავალი ფასი:** მამაკაცნი—30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.




## ნომრები „ავრორა"

ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სამზარეულო, ცხელი და ცივი წყლით (დუში და აბანო). თბ., მიხ. პრ. № 5. ტელ. 13—14 (წ)


Типографія „Сорапанъ" Дозволено Военной Цензурой სტამბა „სორაპანი"